- ა) 1,2
- ბ) 1,4
- გ) 2,3
- დ) 5
- \*ე) 1,2,3,4

186. იზოლირებული სიმსიენური უჯრედები არის: 1) წარმოადგენენ ცალკეულ სიმსიენურ უჯრედებს ან 0,2 სმ-მდე ზომის სიმსიენის უჯრედთა გროვებს, რომელთა აღმოჩენაც ხდება მხოლოდ მიკროსკოპულად; 2) არ ხასიათდება მეტასტაზური აქტივობით; 3) ლიმფურ კვანძებში ან სიმსიენისგან მოშორებულ უბნებში არსებობისას აღიწერება N0 და M0 კატეგორიებით; 4) აღიწერება i სიმბოლოთი. სწორია:

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 1,3
- დ) 2,4
- \*ე) 1,2,3,4

187. ავადმყოფს 3 წლის წინათ დაუდგინდა T2N1M0 სტადიის ძუძუს კიბო. ამჟამად მომართა კლინიკას და დაუდგინდა ძვლების მეტასტაზური დაზიანება. არსებული (შუალედური) მდგომარეობა TNM კლასიფიკაციით შემდეგნაირად აისახება:

- ა) T2N1M0
- ბ) cT2N1M0
- გ) rT2N1M1
- \*დ) yT2N1M1
- ე) aT2N1M1

188. ავადმყოფს T2N0M0 სტადიის კიბოს გამო ჩაუტარდა რადიკალური მკურნალობა. 2-წლიანი რემისიის შემდეგ სიმსიენის ამოკვეთის აღვილას განვითარდა რეციდივი. არსებული მდგომარეობა TNM კლასიფიკაციით შემდეგნაირად აისახება: სწორია:

- \*ა) rT2N1M0
- ბ) RT2N1M0
- გ) PT2N1M0
- დ) CT2N1M0
- ე) KT2N1M0

189. ავადმყოფს T3N0M0 სტადიის კიბოს გამო ჩაუკარდა ქირურგიული ოპერაცია. რამდენიმე თვის შემდეგ ჩატარებული გამოკვლევებით აღმოჩნდა ნარჩენი (რეზიდუალური) სიმსივნე. არსებული მდგომარეობა TNM კლასიფიკაციით შემდეგნაირად აისახება: სწორია:

- ა) rT3N0M0
- \*ბ) RT3N0M0
- გ) PT3N0M0
- დ) GT3N0M0
- ე) CT3N0M0

190. ავადმყოფს დაუდგინდა შარდის ბუშის ლორწოვან გარსში მრავლობითი სიმსივნური კერების არსებობა. რეგიონული და შორეული მეტასტაზები არ არის. არსებული მდგომარეობა TNM კლასიფიკაციით შემდეგნაირად აისახება: სწორია:

- ა) T1N0M0
- ბ) T4N0M0
- \*გ) T1(m)N0M0
- დ) T2(c)N0M0
- ე) T1N0M0G4

191. კიბოს გამოსავლენი სკრინინგული გამოკვლევების დაწყება ყველაზე რაციონალურია: 1) ბავშვთა ასაკიდან; 2) 20 წლის ასაკიდან; 3) 30-40 წლის ასაკიდან; 4) 50 წლის ასაკიდან; 5) 60 წლის ასაკიდან. სწორია:

- ა) 1
- ბ) 2
- \*გ) 3
- დ) 4
- ე) 5

192. რა გავლენას ახდენს პროსტატის კიბოს აღრეული გამოვლენა და მკურნალობა სიკვდილიანობაზე: 1) არ ახდენს გავლენას - უკანასკნელ 30 წელიწადში სიკვდილიანობის მაჩვენებელი სტაბილურია - არ იცვლება; 2) აღრეული გამოვლენის პირობებში პროსტატის კიბოთი სიკვდილიანობის მაჩვენებლები მკვეთრად კლებულობს; 3) აღრეული გამოვლენის პირობებში მკურნალობის შედეგად უმჯობესდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ხარისხი. სწორია:

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 1,2
- \*დ) 3
- ე) 2,3

193. რომელი დებულებაა სწორი ქიმიოთერაპიისადმი სიმსივნის რემისგენგობასთან დაკავშირებით: 1) ქიმიოთერაპიისადმი რემისგენგობას განაპირობებს სიმსივნურ უჯრედებში მედიკამენტებისადმი მრავლობითი რემისგენგობის გენის (MDR-1) არსებობა, 2) პოლიქიმიოთერაპიის დროს შესაძლებელია სქემაში არსებული ყველა ქიმიოპრეპარატის მიმართ არ იყოს სიმსივნე რემისგენგული და მიღწეული იქნას სამკურნალო ეფექტი, 3) მედიკამენტებისადმი მრავლობითი რემისგენგობის მოხსნა შესაძლებელია MDG-1 გენის ინჟექციაციით. სწორია:

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 1,2
- \*ე) 1,2,3

194. რენგენის გამოსხივება არის : 1) ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომელიც თავისი მაღალი ენერგიით იწვევს ნივთიერებათა იონიზაციას, 2) ულტრაიისფერი სხივები, 3) ულტრაბგერითი ტალღები, 4) ინფრაწითელი გამოსხივება, 5) რადიოტალღები. სწორია :

- \*ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- ე) 5

195. ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებში რენგგენის სხივების მაღალი დოზები : 1) იწვევს უჯრედების და ღნმ-ს დაზიანებას, 2) ხელს უწყობს ემბრიონული უჯრედების ზრდას, 3) ასტიმულირებს ნეირონების გაყოფას, 4) აძლიერებს ჰემოპოეზს, 5) ასტიმულირებს ძვლის ტვინს. სწორია :

- \*ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- ე) 5

196. როგორია ბუნებრივი ელექტრომაგნიტური (რენგგენის) გამოსხივების წარმოშობის მექანიზმი?

- \*ა) ელექტრომაგნიტური (რენგგენის) გამოსხივება ვითარდება არასტაბილური იზოტოპის აგზნებულ მდგომარეობაში მყოფ ატომში ელექტრონის გარეთა ორბიტიდან შიგნითა ორბიტაზე გადასვლით
- ბ) ხდება პროტონული აფეთქებები
- გ) ხდება ნეიტრონების წარმოშობა
- დ) ხდება პოზიტრონების ემისია
- ე) ხდება ელექტრონების ამოფრქვევა

197. ხელოვნური ელექტრომაგნიტური (რენგგენის) გამოსხივების მექანიზმი : 1) მაღალი ძაბვის ქვეშ აჩქარებული ელექტრონების მიმართული კონის მოხვედრით ლითონის სამიზნეზე ხდება მათი დამუხრუჭება და გამოთავისუფლება ენერგია ელექტრომაგნიტური გამოსხივების ნაკადის სახით, რასაც ასევე დამუხრუჭებითი გამოსხივება ეწოდება, 2) წარმოიშობა მაღალი სიხშირის რადიოტალღები, 3) აჩქარებული ელექტრონები წარმოშობს ნეიტრონებსა და პოზიტრონებს . სწორია :

- \*ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 1,3
- ე) 2,3

198. ყველაზე უკეთ ელექტრომაგნიტურ (რენგგენის) გამოსხივებას შთანთქავს : 1) სპილენძი, 2) ოქრო, 3) ვერცხლი, 4) ტყვია, 5) ალუმინი .სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- \*დ) 4
- ე) 5

199. გრეი არის : 1) ქსოვილების მიერ შთანთქმული ენერგიის დოზა და შეესაბამება 1 ჯოულ შთანთქმულ ენერგიას 1 კგ ქსოვილზე, 2) ქსოვილების მიერ შთანთქმული 1 კილოკალორია 1 გრამ ქსოვილზე, 3) 1 გრამი კობალტის იზოტოპის მიერ 1 წუთში გამოყოფილი ენერგია, 4) 1 მილიგრამი რადიუმის მიერ 1 წუთში გამოყოფილი ენერგია, 5) 1 სმ სისქის ტყვიის ფირფიცის მიერ 10 სმ<sup>2</sup>-ზე შეკავებული გამოსხივების დოზა. სწორია :

- \*ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- ე) 5

200. რადიაციულ დაცვაში მთავარი პრინციპია : 1) ღრო, 2) მანძილი, 3) ეკრანირება. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 2,3
- \*ე) 1,2,3

201. რამდენი პროცენტით იცავს სტანდარტული (0,5 მმ სისქის) ტყვიანარევი წინსაფარი რენგგენის სხივებისაგან პერსონალს?

- \*ა) 95%
- ბ) 75%

- გ) 50%
- დ) 30%
- ე) 25%

202. ადამიანის ნაყოფი დასხივებისაღმი ყველაზე მგრძობიარეა : 1) მე-3-4-ე კვირას, 2) მე-8-15 კვირას, 3) მე-20-22-ე კვირას, 4) 24-ე-28 კვირას, 5) არ არის მგრძობიარე . სწორია :

- ა) 1
- \*ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- ე) 5

203. კუჭ-ნაწლავის რენგენოლოგიური გამოკვლევა ბარიუმის ფაფის გამოყენებით უკუნაჩვენებია : 1) გაუვალობის დროს, 2) პერფორაციის დროს, 3) გასტროდუოდენური სისხლდენის დროს, 4) ანთებების დროს . სწორია :

- ა) 1
- \*ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- ე) 3,4

204. გარდამავალი და მსუბუქი წვრილნაწლავოვანი გაუვალობის დროს კეთდება წვრილი ნაწლავის რენგენკონტრასტული გამოკვლევა ბარიუმის მაღალი ოცნით. როგორ კეთდება ეს მანიპულაცია?

- \*ა) დგამენ ნაზონგერალურ ბონდს რენგენის კონტროლის ქვეშ 12-გოჯა ნაწლავის მიღმა – გრეიცის იოგამდე და წნევის ქვეშ შეჰყავთ ჯერ ბარიუმის ფაფა, შემდეგ მეთილცელულოზა
- ბ) სწორი ნაწლავიდან შეჰყავთ რექტალური ბონდი, რაც შეიძლება პროქსიმალურად და ისე გარდება რენგენკონტრასტული გამოკვლევა
- გ) სწორი ნაწლავიდან შეყვანილი რექტალური ბონდი გადაჰყავთ ბაუგინის სარქველის მიღმა და ისე შეჰყავთ საკონტრასტო ნივთიერება
- დ) სწორი ნაწლავიდან შეყვანილ რექტალურ ბონდზე მიერთებულია ესმარხის გოლჩა რემინის მილით და ასისტენგს რაც შეიძლება მაღლა უჭირავს ესმარხის გოლჩა
- ე) ეს მანიპულაცია გარდება ინგრაოპერაციულად

205. ირიგოსკოპიის ჩვენებებია : 1) მსხვილნაწლავოვანი სისხლდენის დადგენა, 2) მსხვილი ნაწლავის კიბოს, პოლიპის და გაუვალობის დადგენა, 3) მსხვილი ნაწლავის ანთებისა და ლიფერტიკულიტის დადგენა, 4) არასრულფასოვანი კოლონის კოპია (როცა ვერ დათვალიერდა კოლინჯის პროქსიმალური ნაწილები) სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 1,3
- დ) 2,4
- \*ე) 1,2,3,4,

206. კომპიუტერული ტომოგრაფიის დროს რა ერთეულებში იზომება ქსოვილების სიმკვრივე ?

- ა) ბეკერელი
- ბ) ბერი
- \*გ) ჰაუნსფილდი
- დ) ჩესტერფილდი
- ე) ჰაუსი

207. რადიოიზოტოპური გამოსახულების ფორმირება ხდება შემდეგი პრინციპით: 1) პაციენტის ორგანიზმში შეჰყავთ რადიოფარმპრეპარატი, 2) რადიოფარმპრეპარატის ჩალაგება ხდება საკვლევ ორგანოში, 3) რადიოფარმპრეპარატს გააჩნია გამა-გამოსხივება, 4) გამა-გამოსხივების რეგისტრაციას ახდენს გამა-კამერა. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 1,3

\*ე) 1,2,3,4

208. ულტრასონოგრაფია ემყარება შემდეგ პრინციპს : 1) ულტრასონოგრაფიის დროს გამოიყენება მაღალი სიხშირის ულტრაბგერა, რომელსაც ადამიანის ყური ვერ აღიქვამს, 2) ადამიანის ქსოვილები განსხვავდება ულტრაბგერის განვლადობის მიხედვით. შესაბამისად ულტრაბგერითი ტალღის ნაწილი მთლიანად გაივლის ქსოვილს, ნაწილი აირეკლება და გადამწოდში უკან ბრუნდება, 3) არეკლილი ულტრაბგერის ტალღა გარდაიქმნება გამოსახულებად, 4) ულტრაბგერის ტალღის ანარეკლის უკან დაბრუნების დროის ინტერვალის ანალიზის საშუალებით განისაზღვრება ქსოვილოვანი სტრუქტურის სიღრმე . სწორია :

- ა) 1
  - ბ) 2
  - გ) 1,3
  - დ) 2,4
- \*ე) 1,2,3,4

209. ჩამოთვლილთაგან სხივურ თერაპიასთან მიმართებაში რომელი პოსტულატია სწორი: 1) სხივური თერაპია – ეს არის მათონებელი გამოსხივების გამოყენება სიმსივნეების სამკურნალოდ, 2) სხივური თერაპია წარმოადგენს ადგილობრივი მკურნალობის მეთოდს, 3) მათონებელი გამოსხივება რთული ატომური ბემოქმედებით იწვევს სიმსივნური უჯრედის ღმ-ს დაზიანებას, 4) სხივური ბემოქმედების შემდეგ ჯანმრთელი უჯრედები უფრო ადვილად აღიდგენენ დაზიანებულ ღმ-ს, ხოლო სიმსივნურ უჯრედებს თავიანთი ღმ-ს აღდგენის უნარი არ შესწევთ და ილუპებიან. სწორია :

- ა) 1,2
  - ბ) 3
  - გ) 4
  - დ) 3,4
- \*ე) 1,2,3,4

210. ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი სხივური თერაპიის უპირატესობასთან მიმართებაში ქირურგიულ მკურნალობასთან შედარებით: 1) პირველად სხივურ თერაპიას ნაკლები ფიზიკური დეფექტები ახლავს, ვიდრე ქირურგიულ ოპერაციას (არ ხდება ორგანოს რეზექცია და ნაწიბურების ჩამოყალიბება), 2) ხდება ორგანოს და მისი ფუნქციის შენარჩუნება (ენის, ხორხის, კიბოს დროს – მეტყველება, ყლაპვა), 3) სხივური თერაპია შეიძლება ჩატარდეს ამბულატორიულად ისე, რომ პაციენტმა არ შეიცვალოს ჩვეული ცხოვრების წესი, 4) პაციენტი უფრო ადვილად თანხმდება და იტარებს სხივურ თერაპიას, რადგან იგი ოპერაციისგან განსხვავებით არ არის დაკავშირებული ანესთეზიისა და ქირურგიული ჩარევის რისკთან (ვთქვათ, სისხლდენასთან). სწორია :

- ა) 1
  - ბ) 2
  - გ) 3
  - დ) 4
- \*ე) 1,2,3,4

211. ჩამოთვლილთაგან რომელი ნაკლოვანი მხარეებია დამახასიათებელი სხივური თერაპიისათვის: 1) ქირურგიულ მკურნალობასთან შედარებით სხივური თერაპიის კურსი ხანგრძლივია და 6-8 კვირა გრძელდება, 2) სიმსივნის მკურნალობის ეფექტი დამოკიდებულია მის რადიომგრძობელობაზე, დასხივების მაქსიმალურად დასაშვებ დოზაზე და სიმსივნის ლოკალიზაციაზე, 3) სხივური თერაპიის შედეგად შეიძლება განვითარდეს მოგვიანებითი პოსტრადიაციული გართულებები (10%-ში). სწორია :

- ა) 1
  - ბ) 2
  - გ) 3
  - დ) 2,3
- \*ე) 1,2,3

212. ჩამოთვლილთაგან რა უპირატესობა აქვს მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიას : 1) მრავლობითი იმპულსების ერთობლიობას შეუძლია განსაზღვროს დაზიანების ხასიათი, 2) გამოსახულების მიღება შესაძლებელია რეკონსტრუქციის გარეშე, 3) სისხლძარღვების ვიზუალიზაცია შესაძლებელია დამატებითი კონტრასტირების გარეშე, 4) შესაძლებელია ძვლის ტვინის გამოსახულების მიღება, 5) არ გამოიყენება მათონებელი გამოსხივება. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2

- გ) 3,4
- დ) 2,5
- \*ე) 1,2,3,4,5

213. ჩამოთვლილთაგან რა ნაკლოვანება აქვს მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიას : 1) გამოსახულების მიღებას გაცილებით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე კომპიუტერულ ტომოგრაფიას და გამოკვლევას ხელი შეიძლება შეუშალოს კლასტროფობიამ, 2) უფრო მგრძობიარეა პაციენტის მოძრაობისადმი, ვიდრე კომპიუტერული ტომოგრაფია, 3) უკუნაჩვენებია პაციენტებისათვის, ვისაც ჩადგმული აქვთ კარდიოსტიმულატორი, სხვადასხვა იმპლანტანტები, საკერავი ბრჭყალები, ნეიროსტიმულატორები, 4) ვერ ხერხდება ძვლის დრუბლისებრი და კორტიკალური შრეების ვიზუალიზაცია ისე, როგორც კომპიუტერული ტომოგრაფიის დროს, 5) უფრო ძვირადღირებული გამოკვლევაა, ვიდრე კომპიუტერული ტომოგრაფია. სწორია :

- ა) 1, 5
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- \*ე) 1, 2, 3, 4, 5

კანის, ძვლების და რბილი ქსოვილების სიმსივნეები

214. კანის კიბოს ეტიოლოგიაში მნიშვნელობა აქვს

- ა) ულტრაიისფერ და მაიონიზებელ გამოსხივებას
- ბ) გენეტიკურ ფაქტორებს
- გ) ქიმიურ კანცეროგენებს
- დ) იმუნოსუპრესიას
- \*ე) სწორია ა,ბ,გ,დ

215. ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი კანის ბრტყელუჯრედოვანი კიბოსათვის 1) ხშირად აქვთ შავგერემან ქალებს; 2) მეტასტაზები ვრცელდება ჰემატოგენურად; 3) ხშირად წარმოიშობა კანის იმ ნაწილებზე, რომლებიც აქტიურად სხივდება; 4) ხშირია ბავშვებში. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- \*გ) 3
- დ) 4
- ე) 1,2

216. მიუთითეთ სხეულის რომელი ნაწილის კანი უფრო ხშირად ზიანდება კიბოთი

- \*ა) სახის
- ბ) მუცლის მიდამოს
- გ) ზედა კიდურების
- დ) ქვედა კიდურების
- ე) ზურგის მიდამოს

217. კანის კიბოთი მომაგებული რისკის ჯგუფებს არ მიეკუთვნებიან:

- ა) ღია ფერის კანისა და ცისფერი თვალების მქონე ადამიანები,
- \*ბ) მუქი ფერის კანისა და შავი თვალების მქონე ადამიანები,
- გ) პეჯეტის დაავადების მქონე პირები,
- დ) პიგმენტური ქსეროდერმით დაავადებულები,
- ე) ბიუენის დაავადების მქონე პირები

218. ჩამოთვლილი დაავადებებიდან რომელი არ წარმოადგენს ობლიგატურ კიბოსწინა დაავადებას:

- ა) პიგმენტური ქსეროდერმა,
- ბ) ბოუენის დაავადება,
- \*გ) კანის რქა,
- დ) პეჯეტის დაავადება,
- ე) კეირის ერითროპლაკია

219. კანის ჩამოთვლილი დაავადებებიდან რომელს უწყობს ხელს ულტრაიისფერი გამოსხივება



- \*ა) ბაზალიომას
- ბ) სარკოლიომს
- გ) პაპილომას
- დ) კონდილომას
- ე) ლიმფომას

220. 3 სმ დიაგნოზის კანის კიბო ჩაზრდილია კანის სისქეში, აქვს ერთი მოძრავი მეტასტაზი რეგიონულ ლიმფურ კოლექტორში; მიუთითეთ სტადია TNM- კლასიფიკაციის მიხედვით

- ა) T1N0M0
- ბ) T1N1M0
- გ) T2N0M0
- \*დ) T2N1M0
- ე) T3N1M0

221. საქართველოს რომელ რეგიონშია ყველაზე მაღალი კანის კიბოთი ავადობის მაჩვენებელი

- ა) შიდა ქართლში
- ბ) მთიანი რეგიონებში
- \*გ) კახეთში
- დ) გურია-აჭარაში
- ე) იმერეთში

222. კანის კიბოს მეტასტაზირებაში მნიშვნელობა აქვს : 1) სიმსივნის ლოკალიზაციას, 2) ეტიოლოგიურ ფაქტორს, 3) ძირითადი სიმსივნის არსებობის ხანგრძლივობას.

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 1,2
- \*ე) 1,2,3

223. მიუთითეთ რომელ ორგანოებში იძლევა უფრო ხშირად მეტასტაზებს კანის კიბო :

- ა) ღვიძლში
- ბ) ფილგვებში
- გ) თავის ტვინში
- დ) ძვლებში
- \*ე) რეგიონულ ლიმფურ კვანძებში

224. ჩამოთვლილი ონკოლოგიური დაავადებებიდან რომლისათვის არ არის დამახასიათებელი მეტასტაზირება რეგიონულ ლიმფურ კვანძებში

- \*ა) ბაზალურუჯრედოვანი კიბო
- ბ) ბრტელუჯრედოვანი კიბო
- გ) საოფლე ჯირკვლების კიბო
- დ) მელანომა
- ე) პლეომორფული რაბდოსარკომა

225. კანის კიბოს მკურნალობის მეთოდები

- ა) ქირურგიული (ელექტროქირურგიული) ამოკვეთა
- ბ) კრიოქირურგია
- გ) სხივური თერაპია
- დ) ქიმიოთერაპია - ჩვენების მიხედვით
- \*ე) ყველა პასუხი სწორია

226. ჩამოთვლილი ქიმიოთერაპიული საშუალებებიდან კანის კიბოს ქიმიოთერაპიისათვის გამოიყენება :

- ა) ფტორაფური
- \*ბ) ბლეოცინი
- გ) მიტომიცინი
- დ) ციგოზარი
- ე) მერკაპტოპურინი

227. ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელი არ არის სწორი ბაზალიომასთან მიმართებაში  
ა) ბაზალიომა არის ბაზალურუჯრედოვანი კიბო, რომელიც წააგავს ეპიდერმისის ბაზალური შრის უჯრედებს  
ბ) ბაზალიომა მიდრეკილია ადგილობრივი რეციდივებისადმი  
\*გ) ხშირად იძლევა მეტასტაზებს რეგიონულ ლიმფურ კვანძებში და ფილტვებში  
დ) არსებობს ბაზალიომის კვანძოვანი, პიგმენტური, ინგრაეპითელური და სკლეროლერმისებური ფორმები  
ე) მკურნალობა ქირურგიული, სხივური, კრიოქირურგიული

228. ბაზალიომისთვის დამახასიათებელი არ არის :

- ა) ინფილტრაციული ზრდა,
- ბ) ადგილობრივი რეციდივი,
- \*გ) მეტასტაზირება,
- დ) კანის ბაზალური შრიდან განვითარება,
- ე) ბრტყელუჯრედოვან კიბოდ გრანსფორმაცია

229. კანის ბრტყელუჯრედოვანი კიბოსათვის არ არის დამახასიათებელი შემდეგი კლინიკური ფორმა : 1) ზედაპირული, 2) სკლეროლერმული, 3) პაპილური, 4) პიგმენტური, 5) ღრმა ინფილტრაციული.

- ა) 1
- ბ) 1,3
- \*გ) 2, 4
- დ) 3,5
- ე) 1,3,5

230. ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე დამახასიათებელი კანის ცვლილებები ლიმფომებისა და მრავლობითი მიელომის დროს

- \*ა) იქთიოზი
- ბ) ჰიპოკერატოზი
- გ) ჰიპერერემია
- დ) ჰიპერპიგმენტაცია
- ე) ნეკროზული ერითემა

231. ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე დამახასიათებელი კანის ცვლილებები ანგიოფიბრომის და თირკმლის ჰამარტომის დროს

- ა) ჰიპერკერატოზი
- \*ბ) პიგმენტაციის დაქვეითება
- გ) რძიანი ყავისფერი ლაქები
- დ) სისხლძარღვოვანი ვარსკვლავები
- ე) ჰერპესოიდული ღერმატიტი

232. ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე დამახასიათებელი კანის ცვლილებები პანკრეასის გლუკაგონ-მასეკრეტირებელი კარცინომის დროს

- ა) შავი აკანტოზი
- \*ბ) მანეკრომბული მცოცავი ერითემა
- გ) რძიანი ყავისფერი ლაქები
- დ) ჰიპერპიგმენტაცია
- ე) იქთიოზი

233. ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე დამახასიათებელი კანის ცვლილებები რბილი ქსოვილების სარკომის და ფეოქრომოციტომის დროს

- ა) იქთიოზი
- ბ) პეტეჩიები
- გ) ჰერპესისებრი ღერმატიტი
- დ) შავი აკანტოზი
- \*ე) რძიანი ყავისფერი ლაქები

234. გაავითვისებიანების დაბალი რისკის მქონე პიგმენტური პერინეოპლაზიებია : 1) ჭორფლი, 2) ლენტიკო, 3) ინგრაღერმული (მათ შორის ცისფერი) ნევუსი, 4) ოგის და იგოს ნევუსი, 5) ბეკერის ნევუსი, 6) საგონის ნევუსი, 7)

”მონღოლური ლაქები”. სწორია :

- ა) 1,2
- ბ) 3
- გ) 4,5,6
- დ) 7
- \*ე) 1,2,3,4,5,6,7

235. გაავითვისებინების მაღალი რისკის მქონე პიგმენტური პერინეოპლაზიებია : 1) მოსაზღვრე ნევუსი, 2) შერეული ნევუსი, 3) გიგანტური ტმიანი მელანოციტური ნევუსი, 4) ატიპიური მელანოციტური ნევუსი, 5) დიუბრეილის მელანოზი. სწორია :

- ა) 1,2
- ბ) 2,4
- გ) 1,3
- დ) 1,3,5
- \*ე) 1,2,3,4,5

236. გაავითვისებინების დაბალი რისკის მქონე პიგმენტური პერინეოპლაზიებია : 1) ჭორფლი, 2) ინტრაღერმული ნევუსი, 3) ბეკერის ნევუსი, 4) გიგანტური ტმიანი მელანოციტური ნევუსი, 5) მოსაზღვრე ნევუსი, 6) ატიპიური მელანოციტური ნევუსი. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2,3
- \*გ) 1,2,3
- დ) 4,5
- ე) 4,5,6

237. გაავითვისებინების მაღალი რისკის მქონე პიგმენტური პერინეოპლაზიებია : 1) ატიპიური მელანოციტური ნევუსი, 2) შერეული ნევუსი, 3) დიუბრეილის მელანოზი, 4) ”მონღოლური ლაქები”, 5) საგონის ნევუსი, 6) ლენტიგო. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2,3
- \*გ) 1,2,3
- დ) 4,5
- ე) 4,5,6

238. მელანომის კლინიკო-ანატომიური ვარიანტებია : 1) ზედაპირული, 2) სკლეროღერმული, 3) ლენტიგიოზური, 4) აკროლენტიგიოზური, 5) კვანძოვანი. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 2,4
- \*ე) 1,3,4,5

239. მელანომის ჰისტოტიპებია : 1) ეპითელიოიდური (მალანოკარცინომა), 2) თითისგარაუჯრელოვანი, 3) ნევუსურუჯრელოვანი, 4) შერეული . სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 1,3
- დ) 4
- \*ე) 1,2,3,4

240. მალანომის კლინიკური პროგნოზირებისთვის გამოიყენება : 1) მელანომის სისქის განსაზღვრა მილიმეტრებში (ბრესლოუს კლასიფიკაცია), 2) მელანომის მიერ კანის შრეების ინვაზიის ხარისხის განსაზღვრა (კლარკის კლასიფიკაცია), 3) მელანომის ზომის განსაზღვრა სიგრძე-სიგანეში (მისი უდიდესი განზომილება), 4) საგელიტური კვანძების რაოდენობის განსაზღვრა. სწორია :

- \*ა) 1
- ბ) 2
- გ) 3

- დ) 2,4
- ე) 3,4

241. მალანომის ჰისტოლოგიური პროგნოზირებისთვის გამოიყენება : 1) მელანომის სისქის განსაზღვრა მილიმეტრებში (ბრესლოუს კლასიფიკაცია), 2) მელანომის მიერ კანის შრეების ინვაზიის ხარისხის განსაზღვრა (კლარკის კლასიფიკაცია), 3) ავთვისებიანობის ხარისხის განსაზღვრელი ჰისტოლოგიური გრადაცია – G, 4) მორფომეტრიული მეთოდი. სწორია :

- ა) 1
- \*ბ) 2
- გ) 3
- დ) 2,4
- ე) 3,4

242. შარღში მელანინოგენის განსაზღვრა (იაკშის რეაქცია) ეფექტურია : 1) მელანომის პრეკლინიკური ფორმების გამოსავლენად, 2) მელანომისა და ნევუსების სადიფერენციაციით, 3) მელანომების დისემინირებული ფორმების დროს, 4) მელანომების მკურნალობის შემდგომი მონიტორინგისათვის, ფარული დისემინაციის დასადგენად.

სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 1,2
- \*დ) 3, 4
- ე) 2,3,4

243. პიგმენტური ნევუსების გაავთვისებიანებაზე საგანგაშო ნიშნებია : 1) პიგმენტური ნევუსის თანაბარზომიერი ან ასიმეტრიული მრდის დაწყება, ამობურცვა, გამკვრივება, 2) პიგმენტაციის გაძლიერება, იშვიათად – ლეიგმენტაცია, 3) ნევუსის დაწყებული ნახეთქები, სისხლდენა, 4) ნევუსის ირგვლივ სიწითლე, პიგმენტირებული და არაპიგმენტირებული ხარისხები, ქსოვილების ინფილტრაცია, 5) წვისა და ქავილის გაჩენა, 6) სატელიტებისა და გადილებული ლიმფური კვანძების გაჩენა. სწორია :

- ა) 1,2
- ბ) 3,4
- გ) 1,3,5
- დ) 2,4,6
- \*ე) 1,2,3,4,5,6

244. მელანომის გავრცელება ხდება: 1) ჰორიზონტალურად, 2) ირიბად, 3) ვერტიკალურად, 4) ამეზობილურად.

სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- \*დ) 1, 3
- ე) 2,4

246. მელანომების დიაგნოსტიკისას ყურადღება ექცევა : 1) ანამნეზურ მონაცემებს, 2) სიმსივნის მუქ ფერს, 3) სიმსივნის პრიალა მელაპირს, 4) სიმსივნის დესკრუქციის არსებობას. სწორია :

- ა) 1
- ბ) 1,3
- გ) 2,3
- დ) 3,4
- \*ე) 1,2,3,4

247. ჩამოთვლილი დებულებებიდან მელანომასთან მიმართებაში სწორია

- ა) ეს არის მელანოციტებთან და ნევუსის უჯრედებიდან განვითარებული სიმსივნე
- ბ) მელანოციტები ადრეულ ემბრიონულ პერიოდში განიცდიან მიგრაციას ნეიროექტორმიდან კანში, თვალში, სასუნთქ გზებში და ნაწლავში
- გ) კანის მელანომები ყველაზე ხშირად გვხვდება ავსტრალიაში
- დ) არსებობს მელანომის უპიგმენტო ფორმები
- \*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

248. ვინ და როდის აღწერა პირველად მელანომა

- ა ) ფრანც ლეიდიგმა 1850 წელს
- ბ ) მიშელ ლანდოლფმა 1810 წელს
- \*გ ) რენე ლაენეკმა 1806 წელს
- დ ) ლომინიკ ლარეიმ 1800 წელს
- ე ) ერნსტ ლასეგმა 1848 წელს

249. მელანომის დიაგნოზი ისმება შემდეგი გამოკვლევებით

- ა ) პუნქციური ბიოფსიით
- ბ ) ულტრაბგერითი სონოგრაფიით
- \*გ ) ოპერაციული მასალის ჰისტომორფოლოგიური კვლევით
- დ ) სისხლის საერთო ანალიზით

250. მელანომების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს

- ა ) სიმსივნის უჯრედული ტიპი
- ბ ) სიმსივნის ფორმა
- გ ) სიმსივნის დიამეტრი
- \*დ ) ინვაზიური ბრდის სიღრმე
- ე ) სიმსივნის პიგმენტაციის ხარისხი

251. რა იგულისხმება ტერმინ "ნევუსის" ქვეშ

- ა ) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ლაქას, ნაწიბურს
- ბ ) ზოგადად ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება კანის ჰამარტომები და ზოგიერთი კეთილთვისებიანი პროცესი
- გ ) თანამედროვე გაგებით ეს ტერმინი გამოიყენება პიგმენტური ხალების აღსანიშნავად
- დ ) უფრო კონკრეტულად გამოიყენება კანის კეთილთვისებიანი მელანოციტური წარმონაქმნების აღსანიშნავად
- \*ე ) სწორია ა,ბ,გ,დ

252. ნევუსი შეიძლება იყოს : 1) მოსაზღვრე, 2) შერეული, 3) ინდგრადერმული. სწორია :

- ა ) 1
- ბ ) 2
- გ ) 3
- დ ) 1,2
- \*ე ) 1,2,3

253. ნევუსი შეიძლება იყოს: 1) თანდაყოლილი; 2) შეძენილი; 3) იაგროგენული; 4) მოხუცებულობითი. სწორია :

- ა ) 1
- ბ ) 2
- გ ) 3
- დ ) 4
- \*ე ) 1,2

254. რომელი დებულება არ არის სწორი ცისფერ ნევუსთან მიმართებაში : 1) ეს არის ღერმის სიღრმეში მელანინის მაპროდუცირებელი მელანოციტური ნევუსი, 2) მელანინის ჩალაგება კანის ღრმა შრეებში განაპირობებს ნევუსის ფერს - ცისფერს, რუხს და შავს, 3) ცისფერი ნევუსი ავთვისებიან გრანსფორმაციას არ განიცდის, 4) ცისფერი ნევუსი შეიძლება გაღაგვარდეს ავთვისებიანად. სწორია :

- ა ) 1
- ბ ) 2
- გ ) 3
- \*დ ) 4
- ე ) 1,2

255. მელანოციტებთან მიმართებაში რომელი დებულებაა სწორი : 1) მელანოციტები წარმოიქმნება ემბრიონული განვითარების პროცესში ნერვული ბოჭკოდან, 2) ემბრიონულ პერიოდში მელანოციტები განიცდიან მიგრაციას კანში, თვალში, თავის გვინში, 3) კანში მიგრირებული მელანოციტები ფიქსირდება ეპიდერმისა და ღერმას შორის..სწორია :

- ა ) 1

- ბ) 2
- გ) 3
- დ) 1,3
- \*ე) 1,2,3

256. მელანოციტურ ნევუსთან მიმართებაში რომელი დებულებაა სწორი

- ა) მელანოციტური ნევუსების წარმოშობას ხელს უწყობს ულტრაიისფერი დასხივება
- ბ) მელანოციტური ნევუსი წარმოიქმნება ღერმისა და ეპიდერმისის საზღვარზე მოსაზღვრე ნევუსის სახით
- გ) ნევუსის წანაცვლებით ღერმისაკენ წარმოიშობა შერეული ნევუსი
- დ) თუ შერეულ ნევუსს მოსცილდა მოსაზღვრე კომპონენტი და დარჩა მხოლოდ ღერმული კომპონენტი, წარმოიშობა ინტრაღერმული ნევუსი
- \*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

257. კანის გარდა მელანოციტური ნევუსები შეიძლება შეგვხვდეს : 1) თვალის ბალურაზე, 2) კონიუნქტივზე, 3) ლორწოვან გარსებზე. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 1,2
- \*ე) 1,2,3

258. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან ნევუსების მიმართ სწორია : 1) ნევუსი შეიძლება იყოს პიგმენტური და უპიგმენტო, 2) პიგმენტური ნევუსი შეიძლება იყოს ბრტყელი, პაპილარული, კვანძოვანი, თმისანი, მეჭეჭისებრი, 3) კანის შრეებში გავრცელების მიხედვით ნევუსი შეიძლება იყოს მოსაზღვრე (ეპიდერმულ-ღერმული, პიგმენტაციით ბაზალურ შრეში), შერეული, ინტრაღერმული, მათ შორის ცისფერი (ღრმა ინტრაღერმული), 4) ყველაზე ხშირად მელანომად გადაგვარდება მოსაზღვრე ნევუსი. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 1,2,4
- \*ე) 1,2,3,4

259. ბეკერის ნევუსისათვის დამახასიათებელია : 1) ჰიპერპიგმენტაცია და ჰიპერტრიქოზი, 2) ხშირად ჩნდება ბეჭებზე, ბურგზე და მკერდზე, 3) უპირატესად აქვთ მამაკაცებს, 4) არ განიცდის გაავთვისებიანებას, 5) გაავთვისებიანების მაღალი რისკი. სწორია :

- ა) 1,2
- ბ) 1,3
- გ) 4
- დ) 5
- \*ე) 1,2,3,4

260. რა არის აგიპიური ნევუსისათვის დამახასიათებელი :

- ა) შეიცავს აგიპიურ მელანოციტურ ნევუსურ უჯრედებს ღერმისა და ეპიდერმისის საზღვარზე
- ბ) ხშირად მრავლობითია
- გ) დამახასიათებელია ოჯახური გავრცელება
- დ) ჩვეულებრივ ნევუსებზე უფრო დიდია, აქვს არასწორი კონტური და თანდათან გადადის ნორმალურ კანში
- \*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

261. III სტადიის მელანომის (მეტასტაზები, რეგიონულ ლიმფურ კვანძებში) მკურნალობა

- ა) ქირურგიული
- ბ) იმუნოთერაპიული
- გ) სხივური თერაპია
- დ) ქიმიოთერაპიული
- \*ე) კომბინირებული (ოპერაცია+მელიკამენტური თერაპია)

262. IV სტადიის მელანომის (გენერალიზებული ფორმა) მკურნალობა

- ა) სხივური თერაპია

- ბ) იმუნოთერაპია
- გ) ქიმიო-სხივური
- დ) მხოლოდ ქიმიოთერაპია
- \*ე) ქიმიო-იმუნო-ჰორმონთერაპია

263. ჩამოთვლილი ქიმიოთერაპიებიდან მელანომის მკურნალობისას ყველაზე ეფექტურია :

- ა) ფტორურაცილი
- ბ) მიტომიცინი
- \*გ) დაკარბაზინი
- დ) ციკლოფოსფანი
- ე) მეტოტრექსატი

264. ჩამოთვლილი ქიმიოთერაპიული სქემებიდან მელანომის მკურნალობისას ყველაზე ეფექტურია

- \*ა) დაკარბაზინი+ვინბლასტინი+ცისპლატინი
- ბ) ციკლოფოსფანი+ვინკრისტინი+ლოქსორუბინი
- გ) ფტორურაცილი+მიტოქსანტრონი+მეტოტრექსატი
- დ) ლოქსორუბინი+ეგოპოზიდი+მეტოტრექსატი
- ე) ციტოზინი+ნ-მერკაპტოპურინი+ციკლოფოსფანი

265. მელანომების იმუნოთერაპიისათვის გამოიყენება : 1) ტაქტივანი, 2) თიმალინი, 3) დეკარისი, 4) ალფა-ინტერფერონი.

- ა) 1,2
- ბ) 1,3
- გ) 2,3
- დ) 1,3,4
- \*ე) 4,5

266. მელანომის დროს პროგნოზი ნაკლებად დაზარალებული

- ა) ლიმფური კვანძების მდგომარეობაზე
- ბ) ინვაზიის სიღრმეზე
- გ) სიმსივნის ჰისტოლოგიურ სურათზე
- დ) ასაკზე
- \*ე) მელანომის ლოკალიზაციაზე

267. ჩამოთვლილთაგან რომელია კაპოშის სარკომა

- ა) კილურების კუნთოვანი ქსოვილებიდან განვითარებული სიმსივნე
- \*ბ) ღერძის მრავლობითი ავთვისებიანი სიმსივნე
- გ) კილურების ძვლების სიმსივნე
- დ) ლიმფოიდური ქსოვილის დაავადება
- ე) საოფლე ჯირკვლებიდან განვითარებული სიმსივნე

268. რომელი ორგანოები ზიანდება კაპოშის სარკომის დროს

- ა) კანი
- ბ) ფილგვები
- გ) კუჭ-ნაწლავის ტრაქტი
- დ) პირის ღრუს ლორწოვანი გარსი
- \*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

269. კაპოშის სარკომის დიაგნოზი ისმება 1) ვიზუალურად, 2) ბიოფსიური მასალის ციტოლოგიური კვლევით, 3) ბიოფსიური მასალის ჰისტომორფოლოგიური კვლევით

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 2,3
- \*ე) 1,2,3

270. რომელი სქესისა და ასაკისთვისაა დამახასიათებელი კაპოშის სარკომა

- ა) ბავშვებისათვის 10 წლის ასაკამდე სქესის განურჩევლად
- ბ) მამაკაცებისათვის 20-30 წლის ასაკამდე
- გ) ქალებისა და მამაკაცებისათვის 50 წლის ასაკში
- \*დ) უპირატესად მამაკაცებისათვის 50-70 წლის ასაკში
- ე) უპირატესად ქალებისათვის ასაკის განურჩევლად

271. კაპოშის სარკომის რისკ-ჯგუფები

- ა) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მოსახლეობა
- ბ) პოლარული ზონის მოსახლეობა
- გ) მიოკარდიომის ინფარქტგადატანილები
- \*დ) ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით დაავადებულები (მათ შორის ჰომოსექსუალისგები და ბისექსუალისგები)
- ე) აუტოუმუნური დაავადებების მქონე პირები

272. რაგომ ემართებათ კაპოშის სარკომა ძირითადად ჰომოსექსუალისგებს: 1) ჰომოსექსუალისგებს უხლებათ შენება ინფექციური აგენტების დიდ რაოდენობასთან, რაც იწვევს ორგანიზმის ქრონიკულ ანგიგენურ სტიმულაციას; 2) ჰომოსექსუალისგებს აქვთ თანდაყოლილი იმუნოდეფიციტური მდგომარეობა; 3) ჰომოსექსუალისგებს აქვთ შეძენილი იმუნოდეფიციტური მდგომარეობა

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 1,2
- \*ე) 1, 3

273. კაპოშის სარკომის რისკ-ჯგუფებია : 1) ხმელთაშუაზღვისპირეთის ან აღმოსავლეთ ევროპის ხანდაზმული მამაკაცები, 2) ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირებულები, 3) ორგანოგადახერგილები, 4) ჰომოსექსუალისგები და ბისექსუალები.

- ა) 1
- ბ) 2,3
- გ) 2,4
- დ) 1,3,4
- \*ე) 1,2,3,4

274. იძლევა თუ არა კაპოშის სარკომა მეტასტაზებს

- ა) იძლევა ძვლებში
- ბ) იძლევა ზურგის გვინში
- გ) მეტასტაზებს იძლევა თირკმელებში
- \*დ) მეტასტაზებს იძლევა ფილტვებსა და კუჭ-ნაწლავში
- ე) მეტასტაზებს არ იძლევა

275. კაპოშის სარკომით ყველაზე ხშირად მიახლება :

- \*ა) კილურების დისგალური ნაწილები
- ბ) კილურების პროქსიმალური ნაწილები
- გ) შორისის მიდამო
- დ) კეფის მიდამო
- ე) ზურგის მიდამო

276. კაპოშის სარკომის გართულებებია : 1) კილურების შეშუპება, 2) სიმსივნის დაწყლულება, 3) პირის ღრუს ლორწოვანის, ღრძილების დაწყლულება, 4) კუჭ-ნაწლავის, ფილტვების პლევრის დიფუზური დაზიანება

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 3,4
- \*ე) 1,2,3,4

277. კაპოშის სარკომის აღწერის დროს ყურადღება ექცევა

- ა) წარმონაქმნის ფერსა და კანის ზედაპირიდან ამოწევის
- ბ) დაწყლულების არსებობას ან არარსებობას



- გ) კილურების შეშუპებას
- დ) ღაზიანების ფართობს, ქვედა კილურების სიმეტრიულ ღაზიანებას
- \*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

278. კაპოშის სარკომის ქიმიოთერაპიისათვის ყველაზე ხშირად გამოიყენება : 1) ბლეოცინი, 2) ვინკრისტინი, 3) ლოქსორუბიცინი, 4) ეტოპოზიდი

- ა) 1,2
- ბ) 3,4
- გ) 1,3
- დ) 2,3,4
- \*ე) 1,2,3,4

279. კაპოშის სარკომის ადგილობრივი მკურნალობა

- ა) სხივური თერაპია
- ბ) კრიოთერაპია
- გ) აპლიკაცია ღინტროქლორბენზოლით
- დ) აპლიკაცია ან ინტრაკუტანური ინექცია განზავებული ვინბლასტინით
- \*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

280. სოკოსებრი მიკოზი არის :

- ა) კანის სოკოვანი დაავადება
- ბ) სოკოთი მოწამვლის შემდეგ კანზე გაჩენილი გამონაყარი
- \*გ) T-უჯრედოვანი ლიმფოსარკომის კანის ფორმა
- დ) კუჭ-ნაწლავის სოკოვანი დაავადება
- ე) სასუნთქი გზების სოკოვანი დაავადება

281. კანში შინაგანი ორგანოების კიბო მეტასტაზებს იძლევა : 1) ადგილობრივი ინფილტრაციით, 2) ლიმფოგენურად, 3) ჰემატოგენურად, 4) განფენილად. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 2,4
- დ) 3,4
- \*ე) 1,2,3

282. ქალებში ყველაზე ხშირად მეტასტაზებს კანში იძლევა : 1) ძუძუს კიბო, 2) კოლორექტული კიბო, 3) მელანომა, 4) საკვერცხეების კიბო, 5) ფილგვის კიბო, 6) მეზოთელიომა. სწორია :

- ა) 1,2,5
- ბ) 2,4,6
- გ) 1,3,6
- დ) 1,5,6
- \*ე) 1,2,3,4

283. მამაკაცებში ყველაზე ხშირად მეტასტაზებს კანში იძლევა : 1) ფილგვის კიბო, 2) მეზოთელიომა, 3) მელანომა, 4) პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ბრტყელუჯრედოვანი კიბო, 5) ფარისებრი ჯირკვლის კიბო, 6) სათესლე ჯირკვლის კიბო, 7) კოლორექტული კიბო. სწორია :

- ა) 1,2
- ბ) 3,5
- გ) 4,6
- დ) 5,6
- \*ე) 1,3,4,7

284. ავთვისებიანი სიმსივნეების კანში მეტასტაზირებასთან დაკავშირებით სწორია

- ა) კანში სიმსივნის მეტასტაზირების პროცესი კანონზომიერ ხასიათს აგარებს
- ბ) ავთვისებიანი სიმსივნის რეგიონული მეტასტაზი კანში უპირატესად ლიმფოგენური ხასიათისაა
- გ) ავთვისებიანი სიმსივნის შორეული მეტასტაზი კანში უპირატესად ჰემატოგენური ხასიათისაა
- დ) სხვადასხვა სიმსივნეებს გააჩნიათ სპეციფიკური (ამორჩეული) მეტასტაზირების ადგილი კანში
- \*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

285. ავთვისებიანი სიმსივნეების მეტასტაზები კანში შეიძლება იყოს

- ა) კანის ფერის ილენჯური
- ბ) იისფერი
- გ) ერთემატომული
- დ) პიგმენტირებული
- \*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

286. კლინიკურად ავთვისებიანი სიმსივნეების მეტასტაზები კანში შეიძლება წააგავდეს

- ა) კანის პირველად კიბოს
- ბ) ნეიროფიბრომას
- გ) ლიპომას
- დ) ეპიდერმოიდულ კისტას
- \*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

287. კლინიკურად ავთვისებიანი სიმსივნეების მეტასტაზები კანში შეიძლება წააგავდეს არასიმსივნურ პროცესებს

- ა) ნაწიბურებს
- ბ) პიოგენურ გრანულომებს
- გ) ცელულიტებს
- დ) ღერმატიტებს
- \*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

288. რა არის მერი ჯომეფის სიმპტომი

- ა) მეტასტაზური კვანძი ილიაში
- \*ბ) მეტასტაზური კვანძი ტიპში
- გ) მეტასტაზური კვანძი ღუგლასის ფოსოში
- დ) მეტასტაზური კვანძი საბარდულში
- ე) მეტასტაზური კვანძი მარცხენა ლავიწმედა ფოსოში

289. მერი ჯომეფის კვანძი ელინდება

- ა) კუჭის კიბოს დროს,
- ბ) მსხვილი ნაწლავის კიბოს დროს,
- გ) საკვერცხეების კიბოს დროს,
- დ) კუჭქემა ჯირკვლის კიბოს დროს,
- \*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

290. იქთიოზი ახასიათებს :

- ა) კუჭის კიბოს,
- ბ) ფილგვის კიბოს,
- \*გ) ლიმფომებსა და მიელომურ დაავადებას,
- დ) შარდის ბუშტის კიბოს,
- ე) კანის კიბოს

291. რძიანი ყავისფერი ლაქები დამახასიათებელია : 1) ფეოქრომოციტომებისათვის, 2) ნეიროფიბრომატოზისათვის, 3) კარცინოიდისათვის, 4) ინსულინომისათვის. სწორია :

- ა) 1
- \*ბ) 1, 2
- გ) 3
- დ) 4
- ე) 3,4

292. შავი აკანტოზი ვითარდება : 1) კარცინოიდული სინდრომის დროს, 2) თირკმლის ჰამარტომის დროს, 3) კუჭის კიბოს დროს, 4) გლუკაგონომის დროს, 5) ფილგვის წვრილუჯრედოვანი კიბოს დროს. სწორია :

- ა) 1
- ბ) 1, 2
- \*გ) 3
- დ) 4

ე) 3,4

293. მანეკრობებული მცოცავი ერთემა დამახასიათებელია : 1) პანკრეასის თავის კიბოსათვის, 2) პანკრეასის გლუკაგონმასეკრეტირებული კარცინომისათვის, 3) ფეოქრომოციტომისათვის, 4) ღვიძლის ჰეპატოცელულური კარცინომისათვის, 5) ფილგვის კიბოსათვის. სწორია :

- ა) 1
- \*ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- ე) 5

294. ლანუგინობური ჰიპერგრიქოზი ვითარდება : 1) ფილგვის კიბოს დროს, 2) კუჭ-ნაწლავის გრაქტის კიბოს დროს, 3) კარცინოიდის დროს, 4) ფეოქრომოციტომის დროს, 5) საკვერცხეების თეკაუჯრედოვანი კიბოს დროს. სწორია :

- ა) 1
- \*ბ) 2
- გ) 1,2,3
- დ) 4
- ე) 4,5

295. უპირატესად რომელ ასაკში გვხვდება რბილი ქსოვილების სარკომა :

- ა) 20 წლამდე
- ბ) 20-39
- \*გ) 40-69
- დ) 70 წლის და მეტ ასაკში
- ე) ყველა ასაკში ერთნაირად

296. მიუთითეთ რბილი ქსოვილების სარკომის უხშირესი ლოკალიზაცია

- ა) ბელა კილური
- ბ) განი
- გ) წელის მიდამო
- \*დ) ქვედა კილური
- ე) ზურგი

297. რბილი ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება : 1) ფიბროსარკომები, 2) ლიპოსარკომები, 3) სინოვიური სარკომები, 4) მიქსოსარკომები, 5) მეზოთელიომები, 6) ნეირობლასტომა, 7) ჰემოდენეჯტომა. სწორია :

- ა) 1,2
- ბ) 1,3,5
- გ) 3,5,7
- \*დ) 1,2,3,4
- ე) 5,6,7

298. რბილი ქსოვილების კეთილთვისებიანი სიმსივნეებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება : 1) ფიბრომები, ფიბრომატოზი, 2) ლიპომები, 3) ლეიომიომები, რაბდომიომები, 4) ჰემანგიომები, 5) ნეიროფიბრომები. სწორია :

- ა) 1
- ბ) 1,2
- გ) 3,4
- დ) 1,3,5
- \*ე) 1,2,3,4,5

299. პირობითავთვისებიანი (გარდამავალი) რბილქსოვილოვანი სიმსივნეებია: 1) აბლომინური და ექსტრააბლომინური დესმოიდი, 2) ემბრიონული ფიბრომა, 3) დიფერენცირებული ფიბროსარკომა, 4) ემბრიონული ლიპომა, 5) მიქსომა, 6) მიქსოიდური ლიპომა. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2,3
- გ) 4
- დ) 5,6

\*ე) 1,2,3,4,5,6

300. პოლიკლინიკაში რბილი ქსოვილების სიმსივნეები დიაგნოზის დასასმელად უნდა ჩაგარდეს: 1) ანამნეზის შეკრება, 2) ფიზიკალური გასინჯვა, 3) რენტგენოლოგიური გამოკვლევა, 4) პუნქციური ბიოფსია. სწორია :

- ა) 1
- ბ) 1,2
- გ) 2,3
- დ) 2,4
- \*ე) 1,2,3,4

301. ჩამოთვლილთაგან რბილი ქსოვილების სიმსივნეების დიაგნოსტიკისათვის რომელი მეთოდია ყველაზე მიზანშეწონილი: 1) რენტგენოგრაფია, 2) რადიოსცინტიგრაფია, 3) კომპიუტერული ტომოგრაფია, 4) მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, 5) ულტრასონოგრაფია. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- \*დ) 4
- ე) 5

302. რბილქსოვილოვან სარკომაზე საგანგაშო სიმპტომებია: 1) სიმსივნის ზრდის პროგრესირება, 2) არსებული სიმსივნის ძვრადობის შეზღუდვა, 3) სიმსივნის აღმოცენება რბილი ქსოვილების ღრმა შრეებიდან, 4) მიღებულ ტრავმასა და სიმსივნის მანიფესტაციას შორის რამდენიმე კვირიდან 2-3 წლამდე შუალედის არსებობა. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 1,3
- \*ე) 1,2,3,4

303. რბილი ქსოვილების სარკომის ჩამოთვლილი ჰისტოლოგიური ფორმებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება :

- ა) სინოვიური სარკომა
- ბ) არაკლასიფიცირებადი სარკომა
- \*გ) ფიბროსარკომა
- დ) ლიპოსარკომა
- ე) ლეიო- და რაბდომიოსარკომა

304. რბილი ქსოვილების სარკომისათვის არ არის დამახასიათებელი :

- ა) კილურებში ლოკალიზება
- ბ) კუნთთა ფასციებში გავრცელება
- გ) კილურის ფუნქციის დარღვევა
- \*დ) უპირატესად ლიმფოგენური მეტასტაზირება
- ე) ჰემატოგენური მეტასტაზირება

305. რბილი ქსოვილების სარკომის დროს დამახასიათებელი ოპერაციების ჩატარების აბსოლუტური ჩვენება არის :

- ა) სიმსივნის დიდი ზომები
- ბ) კანში ჩაზრდა
- \*გ) მაგისტრალურ სისხლძარღვში ჩაზრდა
- დ) სიმსივნის საზრდულში ჩაზრდა
- ე) ძვალში ჩაზრდა

306. რბილი ქსოვილების სარკომებისათვის დამახასიათებელია

- ა) ძლიერი ტკივილი სიმსივნის არეში
- ბ) ტემპერატურის მომატება – ზოგჯერ ჰექტიური ცხელებით
- \*გ) ნელი ზრდა
- დ) მიელოლეპრესია
- ე) მკვეთრი ანემია

307. რბილი ქსოვილების სარკომები ყველაზე ხშირად მეტასტაზებს იძლევა :

- ა) თავის გვინში
- ბ) ძვლებში
- \*გ) ფილტვებში
- დ) ღვიძლში
- ე) ლიმფურ კვანძებში

308. რბილი ქსოვილების სარკომების ღროს სხივური დიაგნოსტიკის ყველაზე ინფორმაციული მეთოდია:

- ა) რენტგენოგრაფია
- ბ) ანგიოგრაფია
- გ) კომპიუტერული ტომოგრაფია
- \*დ) მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია
- ე) რადიონუკლიდური სცინტიგრაფია

309. ჰისტომორფოლოგიურად რბილი ქსოვილების ავთვისებიანობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს

- ა) სიმსივნის დაბალი დიფერენციაცია
- ბ) სტრომული ელემენტების სიმწირე
- გ) ძლიერი ვასკულარიზაცია
- დ) ძლიერ გამოხატული ნეკროზების არსებობა
- \*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

310. ავთვისებიანი სიმსივნეებიდან გულმკერდის მიდამოს ძვლებში ყველაზე ხშირად ლოკალიზდება :

- ა) ძვლის ავთვისებიანი სიმსივნის ერთეული მეტასტაზები
- ბ) ოსტეოგენური სარკომა
- გ) მრავლობითი მიელომა
- დ) იუინგის სარკომა
- \*ე) ქონდროსარკომა

311. პაციენტს აქვს ქვემო კიბურის მოცულობითი წარმონაქმნი. საჭიროა : 1) დაზიანებული უბნის მიმოხილვითი რენტგენოგრაფია, 2) გულმკერდის რენტგენოგრაფია, 3) ციტოლოგია

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 1,3
- \*ე) 1,2,3

312. რბილი ქსოვილების სარკომების ძირითადი მკურნალობა არის

- \*ა) ქირურგიული
- ბ) სხივური+ქირურგიული
- გ) ქიმიოთერაპიული+ქირურგიული
- დ) ქიმიო-სხივური მკურნალობა
- ე) იმუნოთერაპიული

313. ჩამოთვლილი პრეპარატებიდან რომელი არ გამოიყენება რბილი ქსოვილების სარკომების ქიმიოთერაპიულ სქემებში

- ა) დაკარბაზინი
- ბ) ლოქსორუბინი
- \*გ) ფტორურაცინი
- დ) იფოსფამიდი
- ე) ციკლოფოსფანი

314. როგორია რბილქსოვილოვანი სარკომების ღროს ფილტვების მეტასტაზური დაზიანების მკურნალობის პერსპექტივა

- ა) უშედეგოა
- ბ) ქიმიოთერაპიით მიიღწევა 5-წლიანი რემისია 50%-ში
- გ) სხივური თერაპიით მიიღწევა განკურნება 60-70%-ში
- \*დ) ქირურგიული მკურნალობით (მეტასტაზის ამოკვეთა) მიიღწევა 5-წლიანი რემისია 50-60%-ში
- ე) რაციონალური ქიმიო-სხივური მკურნალობით მიიღწევა 80%-იანი რემისია

315. ჩამოთვლილი ლოკალიზაციების რბილქსოვილოვანი სარკომებიდან ყველაზე მაღალი რეციდივირებით რომელი გამოირჩევა

- ა) თავის მიდამოს
- ბ) კისრის მიდამოს
- გ) ტორსის მიდამოს
- დ) ზელა კილურის
- \*ე) ქველა კილურების

316. რბილქსოვილოვანი სარკომების დროს ცუდი პროგნოზული მაჩვენებლებია :

- ა) დაბალდიფერენცირებული სიმსივნე
- ბ) 10 სმ-ზე მეტი ზომის სიმსივნე
- გ) სიმსივნის პროქსიმალური მდებარეობა კილურზე
- დ) რეგიონული ლიმფური კვანძების მეტასტაზური დამიანების არსებობა
- \*ე) სწორია ა,ბ,გ,დ

317. ქირურგმა მხრის კუნთებიდან ამოკვეთა სადაკონტურებიანი მკვრივი წარმონაქმნი, რომელიც შეაფასა ფიბრომად. პაციენტს 6 თვის შემდეგ განუვითარდა რეციდივი. რა შეცლომა აქვს დაშვებული ქირურგს ? :

- ა) ოპერაცია უნდა ჩაეტარებინა ზოგადი გაუკვივრებით,
- ბ) უნდა ჩაეტარებინა მხოლოდ სხივური თერაპია,
- \*გ) უნდა გაეგზავნა ამოკვეთილი პრეპარატი ჰისტოლოგიურ გამოკვლევამდე.
- დ) არ შეიძლებოდა ქირურგიული ჩარევა, საჭირო იყო ქიმიოთერაპია,
- ე) უნდა ჩაეტარებინა ქიმიო-სხივური მკურნალობა.

318. ღესმოიდურ სიმსივნესთან მიმართებაში სწორი დებულებაა :

- ა) ვითარდება კანიდან
- \*ბ) იძლევა რეციდივებს
- გ) იძლევა მეტასტაზებს ფილგვებში
- დ) ჰისტომორფოლოგიურად ავთვისებიანია
- ე) მკურნალობა ქიმიო-იმუნური

319. ღესმოიდური სიმსივნისათვის დამახასიათებელი ონკოლოგიური მარკერია :

- \*ა) α-HG
- ბ) β-FP
- გ) CEA
- დ) CA - 125
- ე) CA - 19-9

320. ღესმოიდის მკურნალობა

- \*ა) ქირურგიული
- ბ) სხივური
- გ) ქიმიოთერაპიული
- დ) ლაზეროთერაპიული
- ე) კრიოთერაპიული

321. ძვლებში ყველაზე ხშირად გვხვდება პირველადი ავთვისებიანი სიმსივნეები : 1) იუინგის სარკომა, 2) აღენოკარცინომა, 3) ოსტეოგენური სარკომა, 4) ნათელუჯრელოვანი კიბო, 5) ქონდროსარკომა, 6) ეგზოსტომები

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 2,4
- \*ე) 1,3, 5

322. ბავშვთა და მოზარდთა ასაკისათვის დამახასიათებელია : 1) ქონდროსარკომა, 2) ოსტეოგენური სარკომა, 3) პეჯეტის დაავადება, 4) იუინგის სარკომა, 5) ფიბროსარკომა.

- ა) 1
- ბ) 1,3

- \* გ) 2,4
- დ) 3,5
- ე) 1,3,5

323. ოსტეოგენური სარკომის მკურნალობის ძირითადი მეთოდია

- ა) მხოლოდ ქიმიოთერაპია
- ბ) სხივური თერაპია
- გ) სიმსივნის ამოკვეთა
- დ) კრიოდესტრუქცია
- \* ე) ქირურგიული + ქიმიოთერაპიული

324. ოსტეოგენური სარკომა გვხვდება :

- \* ა) 25 წლის ასაკამდე
- ბ) 26-29 წლის ასაკში
- გ) 30-39 წლის ასაკში
- დ) 40-49 წლის ასაკში
- ე) 50 წლის ასაკში და ზევით

325. ოსტეოგენური სარკომის დროს მეტასტაზებით ყველაზე ხშირად ზიანდება :

- ა) რეგიონული ლიმფური კვანძები
- ბ) ძვლები
- \* გ) ფილტვები
- დ) ელენთა
- ე) თირკმელი

326. ძვლების სარკომის რომელი ჰისტოლოგიური ფორმა გვხვდება უფრო ხშირად

- ა) ქონდროსარკომა
- \* ბ) ოსტეოგენური სარკომა
- გ) გაავთვისებებიანებული ოსტეობლასტოკლასტომა
- დ) რეტიკულოსარკომა
- ე) ფიბროსარკომა

327. ახალგაზრდა ასაკის პაციენტებში ყველაზე ხშირად რომელი ძვლები ზიანდება ოსტეოგენური სარკომით

- ა) ხერხემლის მალეები
- ბ) ნეკნები
- \* გ) ბარძაყის, დიდი წვივის და მხრის ძვლების მეტაფიზები
- დ) თეძოს ძვალი
- ე) ბრტელი და ლულოვანი ძვლები თანაბრად

328. ოსტეოგენური სარკომის ყველაზე დამახასიათებელი ლოკალიზაცია ლულოვან ძვლებში:

- ა) ღიაფიზი
- ბ) ეპიფიზი
- \* გ) მეტაფიზი
- დ) ძვლის ტვინის არხი
- ე) ძვლის ყველა ნაწილში თანაბრად ვითარდება

329. ჩამოთვლილთაგან რომელი ჩივილი არ არის დამახასიათებელი ოსტეოგენური სარკომისათვის

- ა) პალპირებადი სიმსივნური წარმონაქმნი
- ბ) ტკივილი და მტკივნეულობა სიმსივნის არეში
- გ) მოძრაობის შეზღუდვა მოსაზღვრე სახსარში
- \* დ) მაღალი გემპერაგურული რეაქციები
- ე) ტკივილების ინტენსივობის მომატება ღამის საათებში

330. ძვლების სარკომების ეგიოლოგიაში მნიშვნელოვანია :

- ა) მაიონებული გამოსხივების ზემოქმედება,
- ბ) ქიმიური ფაქტორების ზემოქმედება,
- გ) დისემბრიონული დაზიანებები,

დ) კეთილთვისებიანი და კიბოსწინა დაავადებების დროს გრავმის, მზის რადიაციის და გაუმართლებლად ჩატარებული სხივური და ფიზიოთერაპიის შემოქმედება

\*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

331. კავშირი ძვლის სიმსივნის წარმოშობასა და გრავმას შორის : 1) ძვალში წინამორბედი ცვლილებების არარსებობის შემთხვევაში გრავმა არ წარმოადგენს სიმსივნის განვითარების ეტიოლოგიურ ფაქტორს, 2) მიღებული გრავმის შემდეგ რამდენიმე თვიდან 2-3 წლის ინტერვალში შეიძლება განვითარდეს ძვლის ავთვისებიანი სიმსივნე, 3) გრავმის არსებობა ანამნეზში პირდაპირ კავშირშია ძვლების სიმსივნეების განვითარებასთან, 4) გრავმის შედეგად წინამორბედი ცვლილებების არარსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია გაჩნდეს ძვლის სიმსივნე.

ა) 1

\*ბ) 1,2

გ) 3

დ) 4

ე) 3,4

332. ძვლის კიბოსწინა დაავადებებია : 1) ფიბროზული დისპლაზია, 2) ოსტეომაიელიტი, 3) მალეფორმირებელი ოსტეომა (პეჯეტის დაავადება), 4) ქონდრომა, 5) ოსტეოსკლეროზი, 6) ეგზოსტოზები

ა) 1

ბ) 2

გ) 3,4

დ) 2,5

\*ე) 1,3,4,6

333. რომელი დებულებაა სწორი ოსტეოგენურ სარკომასთან მიმართებაში

ა) ოსტეოსარკომის დიაგნოზი ძირითადად ისმება რენტგენოლოგიურად

ბ) კომპიუტერული ტომოგრაფიით შეიძლება მსჯელობა სიმსივნის ადგილობრივ გავრცელებაზე ძვალში, რბილ ქსოვილებში, სისხლძარღვებში, ქიმიოთერაპიის ეფექტურობაზე

გ) კომპიუტერული ტომოგრაფიით და რენტგენოგრაფიით შეიძლება განისაზღვროს ლოკალური რეციდივის ან მეტასტაზების გავრცელება

დ) რადიონუკლიდური კვლევა ეფექტურია ძვალში არსებული მეტასტაზის დასადგენად

\*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

334. იუინგის სარკომის ყველაზე დამახასიათებელი ლოკალიზაციაა:

\*ა) ღიაფიზი

ბ) ეპიფიზი

გ) მეტაფიზი

დ) ძვლის ტვინის არხი

ე) მხრის სარტყელი

335. ოსტეოგენური სარკომის მკურნალობა :

ა) რადიკალური სხივური თერაპია

ბ) მხოლოდ ქიმიოთერაპია

გ) ქიმიო-სხივური მკურნალობა

დ) მხოლოდ ოპერაცია

\*ე) ოპერაცია და მაღალდოზიანი ქიმიოთერაპია

336. ჩამოთვლილი პრეპარატებიდან ოსტეოგენური სარკომის ქიმიოთერაპიულ სქემებში ყველაზე ხშირად გამოიყენება : 1) მეტოტრექსატი, 2) ცისპლატინა, 3) ეტოპოზიდი, 4) ლოქსორუბიცინი, 5) იფოსფამიდი. სწორია :

ა) 1

ბ) 2

გ) 3

დ) 4

\*ე) 1,2,3,4,5

337. ჩამოთვლილი სიმსივნეებიდან რომელია ყველაზე მგრძობიარე ქიმიო-სხივური მკურნალობისადმი : 1) ოსტეოგენური სარკომა, 2) ქონდროსარკომა, 3) იუინგის სარკომა, 4) რეგიკულოსარკომა, 5) პარაოსალური



ოსტეოსარკომა, 6) ფიბროსარკომა. სწორია :

- ა) 1,2
- \*ბ) 3,4
- გ) 5,6
- დ) 1,5
- ე) 2,6

338. ძვლების სიმსივნეების სადიაგნოსტიკოდ ჩამოთვლილი მეთოდებიდან პოლიკლინიკაში არ უნდა ჩატარდეს :

- ა) ანამნეზის შეკრება,
- ბ) ფიზიკალური გასინჯვა,
- გ) რენტგენოლოგიური გამოკვლევა
- \*დ) სიმსივნის ბიოფსია
- ე) არც ერთი ჩამოთვლილი გამოკვლევა

339. ძვლების რადიოიზოტოპური გამოკვლევისათვის დამახასიათებელია : 1) იზოტოპის აქტიური ჩართვა ოსტეობლასტურ სიმსივნეებში, 2) იზოტოპის სუსტი ჩართვა იმ სიმსივნეებში, რომელიც არ მიმდინარეობს რეაქტიული ძვალწარმოქმნის პროცესებით, 3) იზოტოპის (სტრონციუმის) ხანგრძლივი ნახევარდაშლის პერიოდი, 4) რადიოაქტიური სტრონციუმის ხანგრძლივი ნახევარდაშლის პერიოდის გამო ძვლების ბელმეტი სხივური დაგვირთვა. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3,4
- დ) 4
- \*ე) 1,2,3,4

340. 14 წლის ბიჭს შეუშუპებული აქვს წინამხარი 1 წლის განმავლობაში. აქვს ტკივილები. რენტგენოლოგიურად ძვალს აქვს შრეობრივი შენება. რა დიაგნოზია

- ა) არასრული ოსტეოგენეზი
- ბ) ქრონიკული ოსტეომიელიტი
- გ) ტუბერკულოზური ოსტეომიელიტი
- დ) რეგიკულური უჯრედების სარკომა
- \*ე) იუინგის სარკომა

341. პათოლოგიური მოგეხილობა ყველაზე ხშირად ვითარდება

- ა) ქრონიკული ოსტეომიელიტის შედეგად
- ბ) საგზაო-საგრანსპორტო შემთხვევების დროს
- გ) ხანდაზმულ ასაკში
- დ) ღია ჭრილობების დროს ძვლის მეორადი ინფიცირების გამო
- \*ე) ძვლის წინამორბედი პათოლოგიის ან მეტასტაზების შედეგად

342. ავთვისებიანი სიმსივნეებიდან ნეკნებში ყველაზე ხშირად ლოკალიზდება : 1) მრავლობითი მიელომა, 2) ოსტეოგენური სარკომა, 3) იუინგის სარკომა, 4) ქონდროსარკომა. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 2,3
- \*ე) 4

343. ძვლის რომელი პირველადი სიმსივნე შეიძლება მიმდინარეობდეს ოსტეომიელიტისათვის დამახასიათებელი კლინიკით (ტკივილი, ცხელება, ელსის მომაგება, ზოგჯერ ლეიკოციტოზი) : 1) ოსტეობლასტომა, 2) იუინგის სარკომა, 3) ოსტეოქონდრომა, 4) ოსტეოიდ-ოსტეომა, 5) ფიბროსარკომა. სწორია :

- ა) 1
- \*ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- ე) 5

344. ძვლის რომელი პირველადი სიმსივნისათვის არის დამახასიათებელი ღამის ტკივილი, რომლის კუპირებაც ხდება ასპირინით ?

- ა) ქონდრომა
- ბ) ფიბროსარკომა
- \*გ) ოსტეოიდ-ოსტეომა
- დ) იუინგის სარკომა
- ე) ოსტეოსარკომა

345. ჩონჩხის ძვლების ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარების რისკ-ფაქტორებია: 1) ქრონიკული ოსტეომიელიტი, 2) პეჯეტის დაავადება, 3) ძვლის ინფარქტი, 4) სხივური თერაპიის მაღალი დოზები. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- \*ე) 1,2,3,4

346. პათოგნომური რენტგენოლოგიური ნიშნები ძვლების კეთილთვისებიანი სიმსივნეებისათვის, რომლებიც განასხვავებს მათ ავთვისებიანი სიმსივნეებისაგან არის: 1) შენარჩუნებული გარდამავალი ბონა ნორმალურ და შეცვლილ ძვლოვან ქსოვილებს შორის; 2) ძვლის კორტიკალური შრის გათხელება; 3) სიმსივნის მიმდებარედ სკლეროზირებადი კიდის არსებობა; 4) მკერვივი, თანაბარი და გალღოვანი პერიოსტალური რეაქციის არსებობა. სწორია :

- ა) 1,2
- ბ) 3,4
- გ) 1,2,4
- დ) 2,3,4
- \*ე) 1, 2,3,4

347. რა არის «კოდმანის სამკუთხედი» ?

- \*ა) ეს არის ძვალში არსებული პათოლოგიური პროცესის დროს კორტიკალური შრისგან ახალი პერიოსტალური ქსოვილის აშრევაება
- ბ) ეს არის ძვლის ფრაგმენტის სეკვესტრაცია
- გ) ეს არის ძვლის ფრაგმენტის სოლისებული, სამკუთხა მოგებილობა
- დ) ეს არის მუხლის სახსრის ნაპრალის სამკუთხა ფორმის შევიწროება
- ე) ეს არის ქალას ძვლების სამკუთხა ფორმის დარბილება

348. რენტგენოლოგიურად ”კოდმანის სამკუთხედს” ნახულობენ: 1) როცა ძვალში არსებული პათოლოგიური პროცესის გამო ხდება კორტიკალური შრისგან ახალი პერიოსტალური ქსოვილის აშრევაება, 2) კეთილთვისებიანი სიმსივნეების დროს, 3) ავთვისებიანი სიმსივნეების დროს, 4) ოსტეომიელიტის დროს. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- \*ე) 1,2,3,4

349. ძვლების სიმსივნეების დიაგნოსტიკისათვის ყველაზე უფრო ინფორმაციული ვიზუალიზაციის რომელი მეთოდია : 1) რენტგენოგრაფია, 2) კომპიუტერული ტომოგრაფია, 3) რადიოიზოტოპური გამოკვლევა, 4) მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია. სწორია :

- \*ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- ე) 1,2,4

350. ძვლის რომელი სიმსივნეების დროს მიახდება ყველაზე ხშირად ეპიფიზი : 1) ფიბროსარკომის დროს, 2) ოსტეოიდ-ოსტეომის დროს, 3) ქონდრობლასტომის დროს, 4) გიგანტურუჯრედოვანი სიმსივნეების დროს. სწორია:

- ა) 1
- ბ) 2

- გ) 1,2
- დ) 3
- \*ე) 3, 4

351. რომელი პირველადი ავთვისებიანი სიმსივნე გვხვდება ყველაზე ხშირად ბრტყელ ძვლებში მოზრდილთა ასაკში: 1) ქონდროსარკომა, 2) ოსტეოსარკომა, 3) იუინგის სარკომა, 4) მრავლობითი მიელომა, 5) ეოზინოფილური გრანულომა. სწორია:

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- \*დ) 4
- ე) 5

352. 40 წელს გადაცილებულ პაციენტებში ყველაზე ხშირად ხერხემლის მალეების დაზიანებას იწვევს: 1) ოსტეომა, 2) იუინგის სარკომა, 3) მიელომური დაავადება, 4) მეტასტაზები, 5) ოსტეოიდ-ოსტეომა. სწორია :

- ა) 1,3
- ბ) 2,5
- \*გ) 3, 4
- დ) 1,2,5
- ე) 1,2,3,5

353. რომელი პირველადი სიმსივნეები იძლევა ყველაზე ხშირად მეტასტაზებს ძვლებში: 1) ფილგვის, 2) ტუტუს, 3) თირკმლის, 4) წინამდებარე ჯირკვლის, 5) ფარისებრი ჯირკვლის, 6) კუჭის, 7) საკვერცხეების, 8) საშვილოსნოს განის, 9) ბრმა ნაწლავის, 10) ღვიძლის. სწორია :

- ა) 1,6,7
- ბ) 3,8,10
- გ) 4,9,10
- \*დ) 1, 2,3,4,5
- ე) 6,7,8,9,10

354. ჩამოთვლილთაგან რომელი სიმსივნეები იძლევა ოსტეობლასტურ მეტასტაზებს: 1) წინამდებარე ჯირკვლის კიბო, 2) ტუტუს კიბო, 3) მეღულობლასტომა, 4) შარდის ბუშტის კიბო, 5) ლიმფომები. სწორია :

- ა) 1,2
- ბ) 3,4
- გ) 1,3,5
- დ) 2,4,5
- \*ე) 1,2,3,4,5

355. ძვლების სცინტიგრაფიით დადგენილი მეტასტაზების რა პროცენტს ვერ აფიქსირებს ჩვეულებრივი რენტგენოგრაფია : 1) 10%, 2) 30%, 3) 50%, 4) 60%, 5) 70%. სწორია :

- ა) 1
- \*ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- ე) 5

356. რომელი ონკოლოგიური პათოლოგიის დროს არის ჩონჩხის ძვლების რენტგენოგრაფია უფრო მგრძობიარე მეთოდი, ვიდრე სცინტიგრაფია: 1) ტუტუს კიბოს მეტასტაზური დაზიანების დროს, 2) ფილგვის კიბოს მეტასტაზური დაზიანების დროს, 3) მიელომური დაავადების დროს. სწორია :

- ა) 1
- ბ) 2
- \*გ) 3
- დ) 1,2
- ე) 1,2,3

ტუტუს სიმსივნეები

357. ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ტუტუს კიბოთი დაავადების რისკს ამბლებს:

- ა) ქრონიკული კისტოზური მასკოპათია უჯრედთა მძიმე დისპლაზიით
- ბ) ანამნეზში მეორე ტუტუში კიბოს არსებობა
- გ) ტუტუს კიბოს არსებობა ახლო ნათესავეებში
- დ) ხშირი და მრავალრიცხოვანი აბორტები
- \*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

358. ტუტუს კიბოს რისკის მომაგება დაკავშირებულია :

- ა) ხშირ აბორტებთან
- ბ) მცირე რაოდენობის უჯრედისა და დიდი რაოდენობით ცხიმის შემცველ დიეტასთან
- გ) სისხლში ესტროგენების მაღალ მაჩვენებლებთან
- დ) სქესობრივი ცხოვრების უგულვებელყოფასა და ქალწულობასთან
- \*ე) სწორია ა, ბ, გ, დ

359. ტუტუს კიბოს რისკ-ფაქტორებია : 1) ჰიპერესტროგენემია, 2) მასტიტი, 3) გრავმა, 4) ტუტუს წოვების უარყოფა, 5) მემკვიდრეობითი დაგვირთვა. სწორია:

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 2,3
- დ) 4,5
- \*ე) 1,2,3,4,5

360. ტუტუს კიბოს რისკის მომაგება ქალებში დაკავშირებულია

- ა) თანმხლები ჰიპერტონული დაავადების არსებობასთან
